

24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

***2424**

საქართველოს
წინააღმდეგ ჩადენილი
სამხედრო დანაშაული

A2



ობამას პირველი
ბრძანება

A8



შინ და გარეთ,
გარეთ და შინ...

A11



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI



ბორჯომი



GRDC group

ჟი ჟი ჟი

შენი სადაზღვეო ჯგუფი

მთელი საქართველოს "რესკონდენტი"

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან მთელი ქვეყნის მოსახლეობა "იღებდა ინტერვიუს". ხალხთან ხელისუფლების პირველი პირის პირდაპირი კონტაქტი დაგვემის სამ საათზე გაცხადებოდა. მეტ ხანს ვაგრძელებდი. პრეზიდენტისთვის დასმული შეკითხვების დიაპაზონი საკმაოდ ფართო იყო. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილს საუბარი მოუწია სოციალურ საკითხებზე, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზებზე, დასაქმებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობაზე, განათლების რეფორმაზე, ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე... საზოგადოებასთან ურთიერთობის ეს ახალი ფორმატი, როგორც ჩანს, თავად პრეზიდენტსაც მოეწონა. სააკაშვილის თქმით, მოსახლეობის შეკითხვებზე პასუხების გაცემა მისთვისაც სასარგებლოა, რადგან ამით უფრო მეტ ინფორმაციას იღებს ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესახებ. როგორც პრეზიდენტი აცხადებს, ამ ფორმატით ხალხთან პირდაპირი კონტაქტი მომავალშიც ვაგრძელებდა.

ბაზრძელება A3 გვერდზე



AFP / 2009

"თუ, თუ, თუ, თუ ცდილობ..."

სოფიო თოდუა

როგორც იქნა, კასპის ფსიქო-ნევროლოგიური პანსიონატი დაიხურა - ბოლო ნაკადმა იქაურობა აგვისტოს ომის დროს დატოვა. გულწრფელად მშურს იმ ადამიანების, ვინც კასპში არ ყოფილა და არ უნახავს სახლი, სადაც გონებრივად შეზღუდული ადამიანები, მათ შორის ბავშვებიც, იმყოფებოდნენ. სწორედ რომ იმყოფებოდნენ, თუ გნებავთ - მხოლოდ არსებობდნენ, რადგან იქურობას წლების განმავლობაში მხოლოდ ერთი კვალი აჩნდა: ენტი აუნერელი გულგრილობა. ძალიანაც რომ ვეცადო, მაინც ვერ აღვწერ იმ გაუსაძლის პირობებს, რაც კასპში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველამ ყველაფერი იცოდა, ამ ეგრეთ წოდებულმა პანსიონატმა მას მერეც განაგრძო არსებობა, რაც ერთ ზამთარს სიცივითა და შიმშილით ოცდაათი ბავშვი დაიღუპა. იქაურობა, ჩემდა სამწუხაროდ, მეც მინახავს, ამიტომაც ვკითხულობ: თუ ჩვენ მართლა ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს,

ბაზრძელება A4 გვერდზე



კადროვის დანახაულს ფარდა ეხდება

გავლენიანი ფრანგული გამოცემა "მონდი" ჩეჩნეთის შესახებ სენსაციურ სტატიას აქვეყნებს. გაზეთის ინფორმაციით, ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადროვის დაქვემდებარებაში შექმნილია ევროპიდან ლტოლვილთა რეპატრაციის სპეციალური სამსახური, ჩეჩნეთში მოქმედებს შანტაჟის პოლიტიკა და ასობით ადამიანი შეყვანილი იმ პირთა სიაში, რომლებსაც ფიზიკური განადგურება ემუქრება.

ამის შესახებ "მონდი" ავსტრიაში დაკავებულმა ვინმე არტურ კურმაკაევმა განუცხადა. მან ჩეჩნეთის ხელმძღვანელებისგან მიიღო ბრძანება, ჩეჩნეთის პრეზიდენტის დაცვის ყოფილ წევრ უმარა ისრაილოვის ლიკვიდაციის შესახებ.

რამზან კადროვის პირადი დაცვის წევრი 13 იანვარს ვენაში მოკლეს, ხოლო დანაშაულში ეჭვმიტანილი ჩეჩნეთიდან დევნილი 14 იანვარს დააკავეს. დაკავებულმა დაკითხვაზე უარყო დანაშაულში მონაწილეობა, თუმცა განაცხადა, რომ ისრაილოვი იმსახურებდა სიკვდილს "სხვა ბანაკში გადაბარების" გამო.

ევროპული მედიის და სამართალდამცავების განცხადებით,

მკვლელობას საფუძვლად პოლიტიკური მოტივი უდევს. ისრაილოვი, რომელიც ჩეჩნეთიდან გაიქცა და ავსტრიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო, თავს აცხადებდა კადროვის რეჟიმის მსხვერპლად, აგრეთვე იმ დანაშაულებების მონაწილედ, რომლებსაც ჩეჩნეთის პრეზიდენტი და მისი გარემოცვა 2003-2005 წლებში ჩადიდნენ. ისრაილოვი ამტკიცებდა, რომ მისი ევროპაში გასვლის შემდეგ მამამისი ათი თვის განმავლობაში კადროვის ტყვეობაში იმყოფებოდა, რათა აეძულებინათ, მისი შვილი ჩეჩნეთში დაბრუნებულიყო.

2006 წლის ბოლოს ისრაილოვმა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, რომელშიც კადროვს ადამიანების წამებასა და მოტაცებაში სდებდა ბრალს.

როგორც "მონდი" იტყობინება, ისრაილოვი კადროვის დანაშაულებრივი მმართველობის განსაკუთრებული მონაწილე იყო. მან სამი თვე ცენტორიის საიდუმლო საპრობილემო გაატარა, სადაც მას ზოგჯერ უშუალოდ კადროვიც კი აწამებდა. ამის შემდეგ ისრაილოვი



იტყობინებს წესით გადაიბირეს და კადროვის დაცვაში დაანყებინეს მუშაობა. ზუსტად აქ გახდა ისრაილოვი კადროვის მიერ სხვა ადამი-

ანების წამებისა და მკვლელობების მონაწილე.

ისრაილოვი გაქცევის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ "ტერო-

რისტულ ორგანიზაციასთან" კავშირში დაადანაშაულა, მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა და ექსტრადიციის მოთხოვნა დააგზავნა.

გაზეთი იტყობინება, რომ ვინმე არტურ კურმაკაევი ისრაილოვის სიკვდილამდე 7 თვით ადრე ცდილობდა, იგი დაპირებებით აეძულებინა, ჩეჩნეთში დაბრუნებულიყო და რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი უკან გამოეთხოვა. ამაზე პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი არ დათანხმდა და ავსტრიის ხელისუფლებას დახმარება სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. რამდენიმე დღის მერე კურმაკაევი კადროვისგან ისრაილოვის მოკვლის ბრძანება მიიღო, - წერს გაზეთი კურმაკაევის მიერ ავსტრიის ხელისუფლებისადმი მიცულ ჩვენებაზე დაყრდნობით.

ავსტრიულ პოლიციაში კურმაკაევი მოჰყვა ჩეჩნეთში მოქმედი ლტოლვილთა რეპატრაციის პროგრამის შესახებ, რომლის არსებობაც "მოსკოვში არ იცან და არ უნდა იცოდნენ." აღნიშნული სამსახური შეიქმნა სპეციალურად 300 ადამიანის - "მტრის" გასანადგურებლად, რომლებსაც "კადროვი ვერ იტანს".

ლუკაშენკო ბელარუს მეცნიერებს რესურსების მოძიებას ავალბას

მსოფლიო ფინანსური კრიზისის ბელარუსსაც მისწვდა. მოსახლეობის დამშვიდება გუშინ თავად პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ სცადა. ის მიიჩნევს, რომ გლობალური კრიზისი მალე დასრულდება, მის დასაძლევად კი მეცნიერების აქტიური დახმარებაა საჭირო - მათ ბელარუსში დაფარული რესურსები უნდა აღმოაჩინონ.

"კრიზისი მალე დასრულდება - სულ რაღაც, წელიწად-წელიწად-ნახევარში. ამ ვითარებაში კი საჭიროა არა ბარიკადებზე დგომა, არამედ უნდა მოვითმინოთ, გადავიტანოთ და ვიმუშავოთ," - განაცხადა ლუკაშენკომ გუშინ მინსკში გამართული შეხვედრის დროს, რომელიც სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან შედგა.

ლუკაშენკო, როგორც ჩანს, ბელარუს მეცნიერებზე ნაწყენია, რადგან მათ ვერ შეძლეს ქვეყანაში კრიზისის დადგომის პროგნოზირება. "ახლა რისი თქმა შეუძლიათ მეცნიერებს კრიზისის გადაჭრის შესახებ? არაფერი თქმულა, ყველა ხელეებს შლის. არავინ იცის ამ კრიზისის სიღრმე, რატომ ვერ შეძლო ვერც ერთმა მეცნიერმა იმის გამოთვლა, რომ კრიზისი დადგებოდა?" - კითხულობს ლუკაშენკო და აცხადებს, რომ ასეთ ვითარებაში მეცნიერებას დიდი როლი ეკისრება და ფეხზე უნდა იდგეს. "კრიზისის დროს ხალხი აგრძელებს ცხოვრებას, მსოფლიოს ახალი პროდუქტი უნდა შევთავაზოთ, ამ საქმეში კი მეცნიერების როლი კიდევ უფრო მეტად იზრდება," - დასძინა ლუკაშენკომ.

ის ასევე მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა არა ენერგეტიკა და მატერიალური რესურსები, არამედ წარმოება და ინვესტიციები. "როდესაც ბარელ ნავთობზე ფასი 150 აშშ დოლარს შეადგენდა, ყველაფერი კარგად იყო, როცა ფასები 30-40 დოლარზე დაეცა, მაშინვე ზოგიერთ სახელმწიფოში საში-



ალექსანდრ ლუკაშენკო: "არ შეიძლება. მიზის ქვეშ არ იყოს ის რესურსები, რაც ჩვენ გვჭირდება."

ნელი ვითარება შეიქმნა," - ასე ხსნის ბელარუსის ლიდერი კრიზისს მიზეზს.

ამასთანავე ლუკაშენკო იმედოვნებს, რომ ბელარუსულ მიწაში ძვირფასი რესურსების მოძიება შეიძლება. "საჭიროა უფრო თანა-

მედროვე და ახალი იდეები, მაგალითად მეცნიერებმა ყურადღებით უნდა ჩაიხედონ ჩვენი მშობლიური მიწის სიღრმეში. არ შეიძლება, მიწის ქვეშ არ იყოს ის რესურსები, რაც ჩვენ გვჭირდება," - განაცხადა ლუკაშენკომ.

Regional Capacity Building Initiative
Supporting partner country participation in ENPI CBC Programmes 2007 - 2013

website: www.rcbi.info
email: info@rcbi.info

განცხადება

ა.წ. 29 იანვარს ქ. თბილისში იგეგმება ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება. პროგრამა მიზნად ისახავს მონაწილეთა ინფორმირებას ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) მიზნების, პრიორიტეტების და აგრეთვე პროექტების წარდგენის წესისა და პროცედურების შესახებ.


შეხვედრაზე დასწრება შეუძლიათ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების, მუნიციპალიტეტების და სამხარეო ადმინისტრაციების თანამშრომლებს, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას საზღვრისმილმა თანამშრომლობის პროექტების მომავალ კონკურსებში.

საინფორმაციო შეხვედრაზე დასწრების მსურველმა ორგანიზაციებმა 27 იანვრამდე უნდა მიმართონ შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტს. ამისთვის მათ უნდა გაგზავნონ მოკლე დასაბუთების წერილი და ორგანიზაციის გამოცდილების აღწერა (არა უმეტეს 1/2 გვერდისა) შემდეგ მისამართებზე, ელ-ფოსტა: lia.todua@rcbi.info; CC: dato.ncu@caucasus.net ან ფაქსი: 250711; 399019; 998914. მიმართვის წერილში აუცილებელია მიეთითოს გამომგზავნი ორგანიზაციის საკონტაქტო ტელეფონი და ელ-ფოსტის მისამართი.

შეხვედრაზე დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია 70 მონაწილემდე. იმ შემთხვევაში, თუ დარეგისტრირებული ორგანიზაციების რიცხვი მეტი აღმოჩნდა, მოხდება მათი გადარჩევა. უპირატესობა მიენიჭება იმ ორგანიზაციებს, რომელთაც გააჩნიათ რეგიონულ პროექტებში მონაწილეობისა და შავი ზღვის პრობლემატიკაზე მუშაობის გამოცდილება.

ორგანიზაციებს, რომლებიც შეხვედრაზე ვერ მოხვდებიან, შეხვედრის შემდეგ გადაეგზავნებათ შეხვედრის მასალების სრული პაკეტი. გარდა ამისა, აუცილებლობის შემთხვევაში თებერვალში ჩატარდება კიდევ ერთი მსგავსი შეხვედრა (დეტალური ინფორმაცია გავრცელება მოგვიანებით).

დამატებითი ინფორმაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმილმა თანამშრომლობის პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ-გვერდებზე: www.blacksea-cbc.net; <http://www.eu-integration.gov.ge>; <http://www.rcbi.info>.



MWH
BUILDING A BETTER WORLD

and implemented by a consortium led by MWH

რევოლუ



ნიკარაგუა, დირიამბა. ამ დღეებში იქ ტრადიციულს იხსენებენ და სან სებასტიანის სახელობის ფესტივალს წელსაც მართავენ. ქალაქში მსახიობებმა კოსტიუმირებული მსვლელობა და თეატრალური დადგმები გაითამაშეს. ინსცენირებები სხვადასხვა ხალხური ზღაპრებიდან წერიტეროვანია გაფორმების თვალსაზრისითაც.

AFP - 2009

რობერტ ბერნსი - 250

პოეტის იუბილე მის სამშობლოში გაიმართება


2009 წლის 25 იანვარს გლაზგოში კონცერტი, სახელწოდებით "ბერნსის იამაიკური საღამო" გაიმართება. კონცერტის მთავარი გამირი რეგ-დუეტი სლაი და რობი იქნება. პროექტი შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის 250 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებული დღეების ფარგლებშია ორგანიზებული და საიუბილეო დღეების აღნიშვნაც სწორედ ამ კონცერტით დაიწყება. "იამაიკური საღამო" ვალდებულია გაახსენოს საზოგადოებას იმის შესახებ, რომ ბერნსი თავისი პირველი კრეატიული - Poems, Chiefly in the Scottish dialect-ის ("უმთავრესი ლექსები შოტლანდიური დიალექტით") პუბლიკაციამდე ერთი დღით ადრე იამაიკაში გადასახლებას აპირებდა.

ოფიციალური საიუბილეო დღეები სტარტს დღეს, 24 იანვარს, სოფელ ალოუეში აიღებს, სადაც 1759 წელს რობერტ ბერნსი დაიბადა. ბერნსის დღესასწაული, 2009 წელს მსხვილმასშტაბიანი შოტლანდიური კულტურული პროექ-

ტის სამშობლოში დაბრუნების (Year of Homecoming) წლის წამყვანი თემა იქნება.

გაზეთი The Scotsman-ი იუწყება, რომ ედინბურგის თეატრალური ფესტივალის ორგანიზატორების საქციელმა შოტლანდიის პარლამენტარებს შორის უკმაყოფილება გამოიწვია, რომლებმაც საკუთარ პროგრამაში არაფერი შეიტანეს ისეთი, რაც ბერნსის სახელთან იქნებოდა დაკავშირებული. ყველაფრის მიუხედავად, ფესტივალის ოფიციალური პროგრამა ჯერ არ გამოქვეყნებულა.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის იანვარში აუქციონზე რობერტ ბერნსის წერილები გაიყიდება, რომელსაც პოეტი თავის მეგობარს - ედინბურგელ ადვოკატ რობერტ ეინსლის წერდა. გარდა ამისა, წერილებში მისი ადრე უცნობი ორი ლექსიც იქნა აღმოჩენილი. ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წერილი საკმაოდ უხეში ფორმითაა დაწერილი და მისი პირადი ხასიათის შემცველ უამრავ ინფორმაციას შეიცავს. უფრო კონ-



კრეტულად, ბერნსი წერილებში თავის ბავშვებს "ნაბიჭვრებს" ეძახის და წუხს, რომ ვენერიული დაავადებების გამო მწვერვალების დაპყრობა აღარ შეუძლია. 25 გვერდიანი წერილი, რომელიც ბერნსმა 1787-1789 წლებში გაუგზავნა თავის მეგობარს, ვილაც ბრიტანელის სახლის სხვენში, ჯერ კიდევ ათი წლის წინ იქნა ნაპოვნი, თუმცა მისმა მფლობელმა წერილების გაყიდვა, პოეტის 250 წლის იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე გადაწყვიტა.

მკვლევარებმა ბერნსის ნამუშევრების შესახებ სინანული გამოთქვეს იმ მოტივით, რომ ამ წერილების შემცველობა მხოლოდ პოეტის იუბილემდე ცოტა ხნით ადრე განიხილება. მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ ეინსლის მისამართით დაწერილი ბევრი წერილი უხამსი შინაარსის გახლდათ და უცხო თვალისთვის არ იყო განკუთვნილი, ხოლო რაც შეეხება წერილებში აღმოჩენილ ლექსებს, ისინი არ შეიძლება ბერნსის შემოქმედების მწვერვალად იყოს მიჩნეული.

ბასა ჯანიკაშვილის შაბათობები



**ინტერვიუ მეხუთე
პრაზიკანტი
და ექსპერტი**

რომ არა პრეზიდენტის შეხვედრა საზოგადოების წარმომადგენლებთან, გასული კვირა გამოირჩეული არაფრით ყოფილა. ამჯერად, პრეზიდენტი პოლიტოლოგებს შეხვდა. გავითვალისწინოთ რა საზოგადოების დიდი ინტერესი ამ შეხვედრის მიმართ, გავსაუბრებთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორ აკვა ქაშიშვილს. ბატონო აკვა ფრიად მოუცლელი განლაკეთ, მაგრამ ჩვენი გზების მკითხველისათვის დრო მაინც გა-
მონახა და რამდენიმე შეკითხვაზე გავცვა პასუხი.

ბასა ჯანიკაშვილი - ბატონო აკვა, მინდა თქვენი თავი ფართო საზოგადოებას გავაცნო. ბატონი აკვა წლების მანძილზე...

აკვა ქაშიშვილი - არ არის საჭირო, ბატონო ბასა. მო-
დით, ისედაც ცოტა დრო მაქვს და პირდაპირ კითხვებზე გა-
დავიდეთ.

ბ.ჯ. - კი მაგრამ, მინდა...

აკ. - დამიჯერეთ, მე თქვენ გელაპარაკებით!

ბ.ჯ. - უკაცრავად, მაგრამ აუცილებელია, მკითხველმა იცოდეს, თუ...

აკ. - არ არის საჭირო!

ბ.ჯ. - კი ბატონო, მაშინ თხოვთ მიხალსუხით, რაზე ისა-

ზრბრეთ პრეზიდენტთან შეხვედრაზე?

აკ. - არ არის ეგ თქვენი საქმე. იყო იქ კონფიდენცია-
ლური საუბრები მასადაამე და ყველაფერი არ უნდა გამოი-
ტანო კაცმა.

ბ.ჯ. - კი მაგრამ, მე მაინტერესებს, რა...

აკ. - ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ბ.ჯ. - დიდი მადლობა.

აკ. - რას გეტყვით იცი, თქვენი ბრალია დღეს პრეზი-
დენტი და ჩვენი ქვეყანა ასეთ დღეში რაა. არ უნდოდა ამ

კაცს მასადაამე ვითომ პრობლემების მოგვარება და ძალით გააკეთა ეს ყველაფერი?

ბ.ჯ. - რა "ყველაფერი" ბატონო აკვა?

აკ. - რა და... ნუ მალაპარაკებთ ყველაფერს. ისედაც

საკმარისად გითხარით!

ბ.ჯ. - კი მაგრამ, ეს საჯარო შეხვედრა იყო, საზოგადო-

ებას და ჩვენ მკითხველს უფლება აქვს იცოდეს, რა ილაპარაკა პრეზიდენტმა ცნობილ და პატივცემულ ექსპერტებთან. რა თქვამს შევხებო, ან თქვენ რა რჩევა მიეცით. არაერთი საკითხია, რაზეც კითხვა ისმის და პასუხებს ვერ ვისმენთ.

აკ. - არც არის საჭირო. იცის იმ კაცმა თავის საქმე. ნუ გგონიათ, რომ გულზე ხელბდაკრეფილი ზის და ბუზებს თთვლის.

ბ.ჯ. - მე ეს არც მიფიქრია.

აკ. - ძალიან კარგად ვიცი, რო იფიქრეთ!

ბ.ჯ. - შთაბეჭდილება მრჩება, რომ კითხვებს გაურბი-
ხართ.

აკ. - ასეთი შთაბეჭდილება რომ არ დაგრჩეთ, გეტყვით, რა საკითხი დავაყენე პრეზიდენტის წინაშე.

ბ.ჯ. - სიამოვნებით მოვისმენ.

აკ. - მოისმენთ ხომ? თუ მოისმენთ გეტყვით! მე ვუთხარი პრეზიდენტს, რომ არეულია ქვეყანა, ახლა, როდესაც რუსის ჩექმა კარზე გვიკაკუნებს და ლამისაა შემოგვიძვროს, არ არის პოლიტიკური უთანხმოების და განხეთქილების დრო. ყველა ერთად უნდა გვეერთიანდეთ და მტერს კუდით ქვა ვასროლინოთ, მასადაამე.

ბ.ჯ. - ძალიან საინტერესოა. როგორ შეიძლება მტერს კუდით ქვა ვასროლინოთ? თქვენი ხედვა ამ საკითხისადმი ხომ არ განვიმარტავთ?

აკ. - როგორ და ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთს უნდა გადაეცეთ. ასე, იმას ვიზამთ, რომ თავისი ეგონებით და აღარ დაგვბოძავენ. აი, მაგალითად ენგურჰისის საკითხი. მე ვფიქრობ, უარესად მნიშვნელოვანი და საჭირო ნაბიჯი გადაიდგას, რომ რუსეთს ჩავაბაროთ ეს ობიექტი. თვალის ჩინივით გაუფრთხილებიან, იმიტომ რომ თავისი ეგონებით.

ბ.ჯ. - ძალიან საინტერესოა... მმ... და როგორ შეხვდა პრეზიდენტი ამ მოსაზრებას?

აკ. - მითხრა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულიაო.

ბ.ჯ. - აა-ა... ყველაფერი დღესავით ნათელია. მგონი დადგა დრო, ჩვენი საუბრის ბოლოს რაიმე კურობი გაიხსენოთ.




აკ. - კურობი? კი ბატონო, სიამოვნებით! სულ ახლახანს, მოსკოვში ვიყავი მივლინებით ჩასული, აგვისტოს მოვლენების შემდეგ და... ქუჩაში გამაჩრა მილიციელმა. მოგესვენებთ, უკვე პატარა ბიჭი აღარ ვარ და გამიკვირდა. "ვამი დაკუმენტი, გრთ". მე ვუთხარი, ქართველი ვარ და მივლინებით ვარ მოსკოვში ჩამოსული-თქო, მასადაამე და "ნეტო გრთ". ამოვიღე ეს ჩემი პასპორტი და რო დარწმუნდა რომ მართლა საქართველოდან ვიყავი, ჩუმით მომიბოდიშა, მითხრა, რა ვქნა, ასეთი დაგალებია მაქ, ყველა უნდა შევა-
მოწმოო, თორემო, მე რო ქართველებისგან სიკეთე და პატივისცემა მახსოვს, ისეთი არავისგანო. (იცინის) ასეა ეს!

ბ.ჯ. - დიდი მადლობა.

ნიბნები

"დიოგენეს" ნიბნის თარო

გამომცემლობა 2009 წელს კალენდრის გადაფურცვლით იწყებს



ი ა ვ ა ქ ა ა

ლოკოკინა ბალახის ღეროზე ჩამოვცოცდა, თავუნასთან მიხობდა და აკოცა, ცხვირპაჭუა ტაქსამ ოქროს თევზს აკვაროქში მიღაგნო, ბაჭივბა კომბოსტოც კი დაივინყეს და ერთმანეთს ჩაეხუტნენ, ბაჭმა კი საკონცენტრაციო გამზადებულ მელას ყურადღებაც არ მიაქცია - ბა-
ტია რა!.. ეს ყველაფერი კი გამომცემლობა "დიოგენეს" მიერ გამოცემულ კედლის კალენდარზე შეგიძლიათ იხილოთ, რომლის ავტორიც ცნობილი კომპანენი ილუსტრატორი ვოლფ ელბრუხია. კალენდარი კი ბავშვებზე და განსაკუთრებით უფროსებისათვის განკუთვნილი ერთ-ერთი მთავარი საახალწლო საჩუქარია.

კალენდარი განსაკუთრებით საინტერესოა ყველაზე პატარებისთვის, მათთვის, ვინც ჯერ კითხვაც არ იცის, თუმცა მისი მიმწველობით წიგნთან ურთიერთობის ყველაზე მარტივ და პირველ წესს მაინც გაცნობიან - გადაფურცვლას. მამ ასე, წიგნის გადაფურცვლა ვისნაღლეთ, ახლა კი შავ ასოებს მივდივით და ამბავი ამოვიკითხოთ.

საბავშვო და საყმანვილო ლიტერატურა (როგორც მხატვრული, ისე შემეცნებითი შინა-
არსის) "დიოგენეს" პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ მხრივ ალბათ ყველაზე მეტს აკეთებს. ამაზე თუნდაც ისიც მტყვევლებს, რომ გამომცემლობა 60-მდე სასკოლო სახელმძღვანელო, დამხმარე სასწავლო მასალებსა და თვალსაჩინო ნოებებს უშვებს. ამ მიმართულებით გამომცემლობის ბოლო მნიშვნელოვანი ნამუშევარია მე-12 კლასისთვის განკუთვნილი ქართულის სახელმძღვანელო. მისი ავტორები თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუზაშვილი და ნიკოლოზ ჩუბინიძე არიან. სახელმძღვანელო თემატურადაა შედგენილი, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს სხვადასხვა თემაზე კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების მიხედვით იმჯელოს. ეს მეთოდი მოსწავლეს თემის მაქსიმალურად გამ-
ლასა და ათვისებაში ეხმარება, გარდა ამისა, ავითარებს მის ანალიტიკურ და შემოქმედებით უნარს.

საყმანვილო ლიტერატურას განეკუთვნება ენციკლოპედიუ-

რი გამოცემები "მსოფლიოს რელიგიები" და "სპორტი". "მსოფლიოს რელიგიები" სასკოლო ასაკის მკითხველისთვის გასაგებ ენაზეა მოთხრობილი ძირითადი რელიგიების წარმოშობისა და მათთან დაკავშირებული რიტუალების შესახებ. აქვეა ინფორმაციები შედარებით უცნობ და ათასწლეულების წინ გამქრალ სარწმუნოებებზეც. გამოცემა მდიდარია ილუსტრაციებით, ფოტომასალითა და რუკებით. ამავე პრინციპითაა შედგენილი "სპორტი", რომელიც ანტიკური ხანის აღწერით იწყება და თანამედროვე დრომდე გრძელდება. მასში მოთხრობილია მსოფლიოში გავრცელებული ყველა სპორტული სახეობის შესახებ, ასევე შეიტყობთ, თუ როგორ და ვის მიერ იქმნებოდა ამათუ იმ სპორტის სახეობის წესები, რომელ სპორტსმენს ჰქონდა განსაკუთრებული შედეგები და სხვა. მათთვის, ვინც "სპორტს" შეიძინს, "დიოგენეს" საჩუქარი აქვს გამზადებული - 20%-იანი ფასდაკლების ბარათი ციკლის მომდევნო წიგნზე "მუსიკა". აქვე აღწინავეთ, რომ ეს გამოცემები ფრანგული პროექტის ქართული ვერსიებია.

"დიოგენეს" სიახლე აქვს საბავშვო მხატვრული ლიტერატურის მხრივაც. ამჯერად მკითხველის ყურადღებას ორ ახალ გამოცემაზე შეგვიჩვენოს. ვასილ გომეზის არაჩვეულებრივი ლექსები "ჩიტის მოტანილ ამბებშია" გაერთიანებული, გამოცემას კი ია გიგოლაშვილის ილუსტრაციები ახლავს. წიგნი 3-4 წლის ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. გაცილებით უფრო ასაკის მკითხველს დაინტერესებს ნანა კაციაშვილის "მზის სხივი" - პატარა ზღაპრების კრებული სოფო კირთაძის ილუსტრაციებით.

საბავშვო პროექტია "დიოგენეს" მიერ ორგანიზებული სასკოლო კონკურსები ისტორიასა და მათემატიკაში. კონკურსები წელს მესამედ გაიმართება. ისტორიის კონკურსი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან და თბილისის პედაგოგიკის ინსტიტუტის საზოგადოებრივი განსწავლავალი ცენტრის ინიციატივით მიმდინარეობს. თუმცა ისე გარდაიცვალა, დასრულება ვერ შეძლო. ამჯერად გამოცემულია პირველი ტომი, მეორე ნაწილი კი 2009 წლისთვის მზადდება. ასევე უარესად საინტერესოა კენ კიზის ცნობილი

ისახავს ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების შესაძლებლობების გამოვლენასა და ნახალისებას. შარშანდელი კონკურსის გამარჯვებულებმა უკვე იმოგზაურეს საბერძნეთში, 2007 წლის გამარჯვებულებმა კი - ეგვიპტეში. მიმდინარე წლის ივნის-ივლისში კი 2009 წლის კონკურსი გაიმართება.

2008 წლის განმავლობაში "დიოგენეს" რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემა ჰქონდა, მათ შორის იყო ბესტსელერებიც, რამდენიმე კი ახალგაზრდა ქართველი ავტორების წიგნებია. გამოვიდა ბაჩო კვიციანის მოთხრობების კრებული "მატარებლის მოსვლამდე". შეიძლება ითქვას, რომ ბაჩო კვიციანა ბოლო ორი წლის განმავლობაში ყველაზე წარმატებული ავტორია. 2007 წელს "Pen მართონის" გამარჯვებული გახდა მოთხრობით "თეთრი ალბი", იმავე წელს მოთხრობა "მე ბიძინა ვარ" ლიტერატურულ კონკურს "წეროზე" ნარადგინა და ასევე პირველი ადგილი მოიპოვა. ახალი კრებით კი, რომელშიც ორივე მოთხრობაა შესული, პრემია "საბა" მიიღო. ბოლო "Pen მართონის" ფინალისტი თეა თოფურია, რომლის "პიტნის კალი" "დიოგენეს" ასევე 2008 წელს გამოსცა. ერთ-ერთი ბოლო გამოცემა ასევე ახალგაზრდა პოეტის, ნიკა ჯორჯანიასის კრებული "სუნთქვა ხუთისას", იზო მაცაბერიძის "ვარაიციები ძაღლის თემებზე", ჯუანშერ თიკაძის "უკუქცევა" და გელა ჩქვანავას მოთხრობები ომის თემაზე.

საინტერესოა შარშანდელი წლის განმავლობაში გამოცემული თარგმნილი ლიტერატურაც. 2008 წლის პრემია "გალას" ლაურეატია მაია ბადრიძის მიერ თარგმნილი რობერტ მუზილის რომანი "უთვისებო კაცი". "მათთვის, ვინც ინტელექტუალურ თავგადასავალს ეძებს", - ასეთი სიტყვებით აფასებენ კრიტიკოსები რომანს, რომელსაც ავტორი მთელი ცხოვრების განმავლობაში წერდა, თუმცა ისე გარდაიცვალა, დასრულება ვერ შეძლო. ამჯერად გამოცემულია პირველი ტომი, მეორე ნაწილი კი 2009 წლისთვის მზადდება. ასევე უარესად საინტერესოა კენ კიზის ცნობილი

რომანის ახალი თარგმანი და გამოცემა - "...გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა". ამ შესანიშნავი თარგმანის ავტორია ზაზა ჭილაძე, ხოლო ილუსტრაცია კოტე სულაბერიძეს ეკუთვნის. მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, ფრანგი ჟან მარი გუსტავოვ კლემუსის "უდაბნო" სოფო ბენდიასვილის თარგმანით. ავტორის თქმით, მან "უდაბნოში" სიტყვების მუსიკით გადმოცემა სცადა. რამდენად მოახერხა ეს, ამას უკვე მკითხველი შეაფასებს. აქვე აღწინავეთ, რომ რომანს საფრანგეთის აკადემიის მიერ მინიჭებული აქვს პოლ მორანის დიდი პრემია. მილან კუნდერას თაყვანისმცემლები "დიოგენესგან" მორიგ საჩუქარს მიიღებენ - "საღალღო ტრფობანის" შემდეგ გამოიცა "გამოსათხვარი ვალსი", ენ "ჩეხური პერიოდის" მორიგი ნაწარმოები, რომელიც მოგვიანებით ავტორმა თავად თარგმნა ფრანგულად. ქართული თარგმანიც ავტორთან შეთანხმებით პაატა ჯავახიშვილმა სწორედ ფრანგულიდან გააკეთა.

2009 წელი "დიოგენესთვის" ტრადიციულად დატვირთული და მრავალფეროვანი იქნება. გამოსაცემად მზადდება ნიკო სამადაშვილის პოეტური კრებული, კოტე ჯანდღერის და ზაზა დათისვილის მოთხრობები. ასევე ერთ წიგნად შეიკვრება და გამოცემა ბასა ჯანიკაშვილის ნერილი "რატომ იყო რე-ვოლუციამდელი ბავშვი გონებრივად" გამოცემა განსაკუთრებით ალბათ ახალგაზრდა მკითხველს დაინტერესებს, რადგან თავის დროზე ეს ნერილები ჟურნალ "ოზონში" იბეჭდებოდა. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჟანრის მკითხველს კი "დიოგენეს" ყოფილი პოლიტიკოსისა და სახალხო დამცველის, ნანა დევედარიანის "ლერნის მტრატევი" სთავაზობს.

ასევე მზადდება ახალი თარგმანები. როგორც უკვე აღწინავეთ, მალე გამოვა რობერტ მუზილის "უთვისებო კაცის" მეორე ნაწილი. თითქმის დასრულებულია ჟან ჟენეს "ნოტრ-დამ დე ფლერზე" და უმბერტო ეკოს "ვარდის სახელზე" მუშაობა. ამ უკანასკნელს ხათუნა ცხადაძე თარგმნის.

შინ და ბარით, ბარით და შინ...

მაცნა მახარაძე

"შინის" მუსიკოსებმა "EgAri"-ს პარალელურად ახალ, თუმცა განსხვავებულ პროექტზეც იფიქრეს. ჯერ "სანო" სტუდიაში ჩაიკეტნენ, ახლა გერმანიაში იმ კომპოზიციების ჩანაწერებს აკეთებენ, რომელიც "შავი ზღვის ცეცხლის" ალბომში უნდა გაერთიანდეს. აქ შავი ზღვის რეგიონის ფოლკი თავისი პოლირიტიკითა თუ ლექსით, "შინის" ხელწერაში ითარგმნება და ამბობენ, რომ "ეგარის უღერადობა ექნება..." ეს არის პროექტი, როცა ქართული მრავალხმიანობა გადის სინთეზში სხვა ინტერნაციონალურ კულტურებთან და გასაუბრებას იწყებს მოლდავურ, ბულგარულ, ყირიმულ და ასევე თურქულ ჰარმონიასთან მიმართულებით - შინ და გარეთ, გარეთ და შინ. შავი ზღვის ცეცხლის დასაბრუნებლად, "შინმა" აქაც შეკრიბა ინტერნაციონალური საკრავები და ვირტუოზი მუსიკოსები... ამბობენ, რომ ეს სოლიდური CD ალბომი იანვრის ბოლომდე უნდა გამოვიდეს ჯერ გერმანიაში და... მერე და მერე ჩვენთანაც ჩამოვა. მანამდე კი ვეროპული ტურნეში "შინის" მუსიკოსები "EgAri"-ს უკავენ.

ჩონგური, ფანდური, დუდუკი, კავალი, ჭიბონი, ჭუნირი, დოლი, სალაპური, გიტარა, ბას-გიტარა და პერკუსია "შინის" ინსტრუმენტალურ პერფორმანსს ქმნის... ხალხური საკრავების "თეატრალიზებულ შოუში" გამართული დიალოგი ვირტუოზულ შეჯიბრში გადაიდა... არსებულ პოლიფონიაში, პოლირიტმიკასა და იმპროვიზაციაში კომპოზიციის ფორმა და ნიჭი საოცარ ინტონაციას და ფერადობას განიცდიდა... აქ ხალხურ ქსოვილში ნაძერწი ვოკალი თუნდაც, ემოციური შეძახილი სულ სხვა ძალით, ენერჯითა და სიღრმით არის გამოჩენილი... პოეზია? - "შინის" პოეზია ესეც განსხვავებული, თუმცა თანაზიარ შემოქმედებაა პოლიფონიზმთან, ინსტრუმენტალიზმთან და ხალხურ რიტმთან. ეთნოკულტურულ სინთეზში ჩართულია ქართული ცეკვის არქტიპი, რომელიც სიმბოლური გააზრება ქართული ხასიათის და "შინის" მუსიკის ილუსტრაციას...

"შინი" ეს ზაზა მიმინოვილი (გიტარა), ზურაბ გავნიძე (ბას-გიტარა, ვოკალი) და მამუკა (მუკი) ლალანიძე (ვოკალი, პერკუსია)... არაჩვეულებრივი მუსიკოსების ჯგუფი, რომელიც გერმანიაში 1998 წელს შეიქმნა და სულ გზაშია... "შინი", ანუ სახელწოდებაც გზაში მყოფობის სიმბოლოა. თანამედროვე და შინდაბრუნების ნოსტალგიათა არის ნაკარნახევი... უცხო მიწაზე მათი სულიერი საყრდენი ხალხური მუსიკა, უცნაური პოეზია და... იმპროვიზაცია. "EgAri" ჯგუფის დიდი ხნის ჩანაწერია - ეთნომუსიკალური მოგზაურობა დროის განზომილებაში, სადაც არ არსებობს ზღვარი, თუმცა არსებობს ფოლკსპერტიმენტი... "შინის" შემადგენლობას ანსამბლი "გეორგია" დაემატა - დავით შანიძე (ვოკალი), ალექსანდრე ხიზანიშვილი (ჩონგური, დუდუკი, კავალი, ჭიბონი, ჭუნირი), სვიან ხეთისიაშვილი (ფანდური, დუდუკი) და ზვიად თითიაური (დუდუკი). პროექტი ქორეოგრაფიულ არქტიპის ქმნის დავით (დათუნია) სხირტლაძე მსუბუქი პლასტიკითა და სახასიათო მანერაში გაზაფხული იუმორით.

"EgAri" ეს არის ნამდვილი მუსიკა, რომელსაც უკვე მოიხსენიებენ მსოფლიო მუსიკის - World Music კონტექსტში, ანუ "შინის" საავტორო მუსიკაა, რო-



მელსაც ხედავ და აქვს სული. "ეგარი" ეს არის ნოვაციური ექსპერიმენტი ფოლკლორისა და ჯაზის ტრადიციული ფორმების მიღმა, მუსიკის ძიება და მასში ნაპოვნი ახალი მუსიკალური მიმართულება - იბერო-კავკასიური სტილი. "შინის" კომპოზიციები ძველი ფოლკმუსიკალური თემების თანამედროვე არანჟირებით არის შეფერილი, სადაც ყველა ინსტრუმენტია ჩართული და ისმის მრავალხმიანი ხმაშეწყობილი მოძახილი - ადილო, ადილო, დილაოდილაო... ადილო, ვადილო, აბადილოდელი ვადილო, ივლილაო... ისეც იმპროვიზაცია, იმპროვიზაციის თეორიაში თემები თითქოს "მარტივ მარტივლებად" იშლება და მერე და მერე ისეც მელოდიურ ქარგში იკონძება ძვირფას მარგალიტებად... გურული ფოლკლორის შემდეგ "აჭარულში" ტემპის დინამიკა საოცარ კულმინაციას აღწევს, ინსტრუმენტული მელოდია და ვოკალი ლამაზი მელიზმებით ფერს, ხალხური ლაიტმოტივებში იმპროვიზაციულ თამაშს ემსგავსება მუსიკოსების სიმღერაში - წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა ალვის ხის ჩამონათალი... მერე ჩანგურისა და სოლო გიტარის შეჯიბრია, ამ ჰარმონიაში მოულოდნელად ჩნდება სახალისო ფრაზები - მამუკა პაპა, ზაზა პაპა, ზურა პაპა... მუსიკოსები ხუმრობენ, რომ "პაპების სია წინასწარ შედგენილია, ვისაც ჩანერა უნდა, მან რიგი უნდა დაიკავოს..." პაპების მერე, აჭარულ რიტმიკაში სოლოდ ერთვება ჭიბონი, ფანდური, გიტარა და... ცეკვა "აჭარულის" ჩახვეული მოძრაობა. აქ თავზე ყაბალახით დავით სხირტლაძე ცეკვის ენაზე ყვება მუსიკას... "დანსა კავკასია"? ეს გაერთიანებული კავკასიის ბეგრია... "ხორუმის" ინსტრუმენტულ კონსტრუქციაში მრავალი თემები იწყებს გასაუბრებას, მერე გიტარისა და ვოკალის ტემპერამენტი შემოდის და ეს ინტონაცია საოცრად ლამაზი სვლით გადადის მრავალხმიან მრავალფაშობაში. ამ კომპოზიციის ფინალია ზურაბ გურული ბებუის არქალური ნათქვამი - "აი, მასე კი კია, მარა..." საოცარია, მაგრამ ამ მუსიკის რითმიკაში და ამ სიტყვიერებაში ამოცნობ იმ თანადგომას და ადამიანების იმ ხმაშეწყობილ ურთიერთობას, რაც წარსული ცნობიერებიდან მოდის და მას დღესაც ეთაყვანება ჩვენი დროება. "შორეული ქეიფი" ეს ძველი თბილისის მიხვეწულ-მოხვეწული ქუჩების გრეხილი მელიზმებია. "დამპირტარი"? - ამ სახალისო ოპუსზე, ზაზა მიმინოვილი ხუმრობს, რომ "აქ სიძე-სიმამრის საუბარიაო".

"შინის" კონცერტზე ის მუსიკოსები უკრავდნენ, რომლებსაც ძველი მუსიკა "შიგნიდან" ესმით, რომლებმაც იციან, რომ მათი ცხოვრება წინაპართა გზის გაგრძელებაა... და ალბათ, ამიტომაც, ჩვენ სულ სხვანაირად გვაღელვებს მათ მიერ შესრულებუ-

ლი "ცერული", სვანური "ყანსაყიფიანი", "ლედი ზილა", "ცხენზე ამოსული კაცის ამბავი", "ნაფოტი წყალზე", "შორეული ქეიფი", აფხაზური "შარათინი", "დანსა კავკასია", "იბერია მარად"... აზროვნება და ხასიათი - ესაა მთავარი, რაც ეთნომუსიკას სჭირდება და რაც "EgAri"-ს არს-ნი იგრძნობა... და კიდევ, სახალისო შესრულების მიღმა მოსმენის კულტურა: თუ პირველ ხმას ყური არ დაუდევ, მეორეს ვერ შეუნყო, თუ პირველი და მეორე არ გესმის, ბანს ვერ იმღერებ, ამის გარდა პოლიფონიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ხედები იმასაც, რომ მეორე და მესამე ხმა არასოდეს არ უშლის ხელს პირველს ან თუნდაც, მთქმელის იმპროვიზაციას... ანუ, "EgAri"-ს მუსიკაში ქართული ყოფიდან გადასული ტრადიცია უცვლელად იმასა: ქართველი არასოდეს ყოფილა ყველაფრან იზოლირებული, ის ვერც მომხდურს გაუმკლავდებოდა და ვერც სუფრას გალიდა მარტო, ვერც ღვინოს დანურავდა სანახევრში კენტად ჩამდგარი და ვერც სიმღერას ნამოიწყებდა განდევნილად მყოფი. ასე მრავალხმაში ქმნიდა სიმღერას, რომელიც იცოდა, რომ მას დროში სიტოცხლე სჭირდება, ის არ უნდა იყოს სამუხეუმო ექსპონატი რომ ჩაკეტოთ და დარჩეს ხელუხლებლად...

"შინ წყაროს", "ურმულის", "ლილეს" საოცარი ჩანაწერები გვაქვს შემონახული, მათი სიტოცხლე ხომ უნდა გაგრძელდეს არა?!... - ამბობს მუსიკოსი ზაზა მიმინოვილი, - "ხორუმის" რიტმი, "ზილაგას" 8 ტაქტი და ცალკე მის წინ მდებარე 14 ტაქტიანი მარგალიტი, ეს შესანიშნავი თემაა, ნუთუ მათ არ დამისახურეს ის, რომ ყოფილიყვნენ ცალკე დამოუკიდებელი ნაწარმოები?! მე მომაჯადოვა მუსიკის ამ ძალამ, მისმა ენერჯიამ... მარტო ჩვენ ამას ვერ გავწვედებით, იმდენია გასაუბრებელი ქართული ფოლკლორში, თვალწინ დგას საგანძური, მაგრამ ამას არავინ არ აკეთებს... ხალხურ მუსიკაში უმეტესად არის კომპოზიციური ნიჭობა, ფანტაზიკური მარგალიტი ერთმანეთთან მიხვეწილი და საბოლოოდ, მიღებულია მონსტრი. ეს არის ფორმის გაუცნობიერებელი მიხვეწება, როცა ერთი მეორეს ტონალობით და რიტმულად ჩამოგავს. ჩვენთან ასე არ მოხდა... "ეგარის" პროექტი მოიცავს ქართული მუსიკის კვლევას და ის ჩემი დამოუკიდებელი მიხვეწვაა, რა უნდა მომხდარიყო, რა უნდა გავკეთებინა მუსიკის ამ სამყაროში. ეს პროექტი გავრცელდება, გაგრძელდება გარეთაც, ჩვენ ვაჩვენებთ, რომ საქართველო არის უნიკალური თავისი ფოლკლორით, რომელსაც შეუძლია გაითავისოს ესპანური, ირლანდიური, ბალკანური კულტურა, ანუ როცა მათ მუსიკას შენად მიიღებ... და ჩვენი პრინციპიც სწორედ ეს არის, ძველი მუსიკის არა



გარემიქება, რისი წინააღმდეგ ვარ, არამედ გათავისება - შეხვიდე მუსიკის შიგნი და ის შიგნიდან ააფეთქო.

- რაც "შინი" ჩამოყალიბდა, რალაც საერთო მუსიკალური პროცესი მოხდა ჩვეს მუსიკალურ ცნობიერებაში და ეს გრძელდება... - მეუბნება მუსიკოსი ზურა გავნიძე, - "ეგარის" პროექტი ძალიან ბევრი უცხოური ელემენტები გვაქვს ჩადებული გადმოქართულებული სახით, ანუ ეს ყველაფერი "შინის" ხელწერაშია გატარებული... მე, როგორც ბასი და ვოკალი, ამ ინსტრუმენტებით გამოვხატავ იმას, რაც ბებიამ მასწავლა და რაც მერე ვისწავლე ჯაზში. ხშირად მიწევს მოგზაურობა და შესაბამისად, მრავალი მელოდია და თემა მესმის, რაც მშობლიურს მასსენებს. საინტერესო არის კიდევ ის, რომ ჩვენ თავად ეს ძველი მუსიკა გვეხმარება, რომ ის თანამედროვე მიგნებით გავაცოცხლოთ და ახალი ფერადობა მივცეთ. ეს არ არის რემიქსი, ან კოლაჟური, მიწებებული - აი, ვთქვათ აიღებენ "ნამგალოს" დააბრუნებენ დრამს და... არა, არა, ასე "EgAri" ვერ გაიმარჯვებდა...

უცნაურია და ასევე უცნაურად იწერება "EgAri"-ს პოეზია, რომელიც ისეც "შინის" საავტორო მუსიკიდან მოდის, თუმცა მუსიკის გარეშე ლექსად არ აღიქმება, ფრაზებში კი რჩება უმინარსოდ... - "დანსა კავკასია" მე დავწერე და, დავწერე ის, რასაც ვმღერებ, ანუ მუსიკას მოვარგე ტექსტი. - ამბობს მუსიკოსი მამუკა ლალანიძე, - ეს ბევრს უვივის ხოლმე, უფრო გერმანულს, მათ უტექსტო სიმღერები ვერ წარმოუდგენიათ. ვეუბნები, ეს სიტყვები ცალკე არაფერს არ ნიშნავს მეთქი, ვერ იჯერებენ - როგორ, აბა რას მღერისარო? იმპროვიზაციას - ვასაუზობ, მაგრამ როცა ესმით დამპირტარი დამპირტარი, კაური, კაური, ცუ-ზამენ კაური, ამას იგებენ და იციან... მთელი "ეგარის" პროექტი ჩვენი ნოსტალგიაა, გერმანიაში რომ არ წავსულიყავით და იქ არ დავგვწყო ამ მუსიკის კეთება, ჩვენ აქ ამდენს ვერ შევძლებდით. სიმორე გაძლევს იმის საშუალებას, რომ ქართული რაც დევს შენში, იმან უფრო გაიღვიძოს. ინდოელი მუსიკოსი მან კარი, რომელსაც ძალიან უყვარს ჩვენი მუსიკა, ამბობს ხოლმე, რომ ეს ყველაფერი ხიჩოკის ნოველებს შვავსო, არ იცი რა რის მერე მოდის, მაგრამ საბოლოოდ არისო COOL მე "მრავალფაშვილის" ქვეყნის შვილი ვარ და ვიცი, რომ "ცხენოსნურს" ჩვენზე, ანუ ქართველებზე უკეთ ვერავინ ვერ იმღერებს...

თურმე ხშირად ეკითხებიან უცხოეთში ჩვენებურებს, სად მიდის "შინის" მუსიკა, როცა აღარ უკრავენ? - არსად, ის რჩება და რჩება ჩვეს გულელებში - ასე პასუხობენ.

საათი

24 იანვარი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
"ნათეს ნათელი ნაღები"
რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
"ზაფხულის ღამის სიზმარი"
ლევი ნულაძე
დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში
"ქალი წარსულიდან"
რეჟისორი: პაატა ციკოლია
დასაწყისი: 20.00

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი
"ჰარალეთი, ჰარალეთი"
რეჟისორი ნუგზარ ზაგრატიონ-გრუზინსკი
დასაწყისი: 19.00

"თეატრალური სარდაფი"
"უჩინმარინის ქუდი"
რეჟისორი დუტა სხირტლაძე
დასაწყისი: 20.00

თავისუფალი თეატრი
"ღმერთო დავიფარე ჩვენ და ადამიანები"
დასაწყისი: 20.00

მუსიკისა და დრამის თეატრი
"იყო და არა იყო რა - ანუ საშობაო ზღაპარი"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 18.00

თეატრი ათონელზე
"ვენეციელი ვაჭარი"
დასაწყისი: 19.00

ლიანა ღვინდუაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი (1965-96 წლებში) **ლიანა ღვინდუაშვილი**

ლიანა ღვინდუაშვილი წარმატებით გამოდიოდა მეცო-სოპრანოს თითქმის ყველა პარტიაში, იმთავითვე მიიქცია ქართველი მსმენელის ყურადღება და მომღერალთა იმ შესანიშნავი პლედის ნევრი გახდა, რომელიც 60-იანი წლებიდან ამშვენებდნენ ჩვენი თეატრის სცენას. მრავალმხრივი იყო ლიანა ღვინდუაშვილის რეპერტუარი ქართული, რუსული და მსოფლიო საოპერო ხელოვნების ურთულესი ვოკალური პარტიები.

ფართო რეპერტუარისა და დაბალი, სულში-ჩამწვდომი ხმის წყალობით იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო როგორც საოპერო მომღერალი, არამედ, როგორც ფილარმონიის სოლისტი, რადგან მომღერლის მეორე სერიოზული ამბულა იყო კამერულ-ვოკალური ხელოვნება. მონაწილეობა აქვს მიღებული საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში გამართულ 300-ზე მეტ კონცერტში და მრავალი გამომხატურებაც დაიმახსოვრა კამერული ნაწარმოებების, ქართული და რუსული რომანსებისა და სიმღერების შესანიშნავი შესრულებისათვის.

ვალმოხდელი მომღერლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, ახლობლებისა და ქართველ მსმენელთა გულში.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ზ ა ერთიანი საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო ტენდერს მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპრობილე-დანესებულებების საჭიროებისათვის 900-მდე დასახელების მედიკამენტი და სამედიცინო დანიშნულების საგანი.

(ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციის შემსყიდველ ორგანიზაციაში).

3. საქონლის მინოდების პირობები - საქონლის მინოდება უნდა განხორციელდეს - 2009 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. მინოდების ადგილი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპრობილე-დანესებულებები:

1. ქ. თბილისის N1 საპრობილე; მის: ქ. თბილისი გორგასლის ქ. N85;
2. ქ. თბილისის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულება; მის: ქ. თბილისი გლდანის მე-7 მ/რ, პლიუს 2 კმ;
3. ქ. თბილისის N7 საპრობილე; მის: ქ. თბილისი გულუას ქ. N4;
4. ქ. თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დანესებულება; ქ. თბილისი აბუსე-რიძე-ტბელის ქ. N11;
5. ქ. თბილისის N10 დანესებულება; მის: ქ. თბილისი ავჭალის გზატკეცილი N17;
6. ქ. თბილისის არასრულწლოვანთა აღმზრდელი დანესებულება; მის: ქ. თბილისი გრ. ხანძელის ქ. N3;
7. ქ. რუსთავის N1 დანესებულება; მის: ქ. რუსთავი მშენებელთა ქ. N60;
8. ქ. რუსთავის N2 დანესებულება; მის: ქ. რუსთავი მშენებელთა ქ. N64;
9. ქსნის N7 დანესებულება; მის: მცხეთის რაიონი დაბა ქსანი;
10. ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულება; მის: მცხეთის რაიონი დაბა ქსანი;
11. N8 დანესებულება; მის: ქ. წყალტუბო სოფ. გეგუთი (ვარციხის დასახლება);
12. N9 დანესებულება; მის: ხონის რაიონი ყოფ. ჩაის მურნოვა;
13. N2 საპრობილე; მის: ქ. ქუთაისი ხარებაგას ქ. 85;
14. ბათუმის N3 საპრობილე; მის: დაბა ხელგაჩაური ურეხის დასახლება;
15. ზუგდიდის N4 საპრობილე; მის: ქ. ზუგდიდი ც. დადიანის ქ N9;
16. ქ. რუსთავის N6 საპრობილე; მის: ქ. რუსთავი იალღუჯას მიდებარე ტერიტორია.
17. ქ. თბილისის N8 საპრობილე; მის: ქ. თბილისი გლდანის 7 მ/რ, პლუს 2 კმ.

შენიშვნა: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი დანესებულების გახსნის შემთხვევაში, ანალოგიური მომსახურება უნდა განხორციელდეს იმავე დანესებულებაშიც.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 13 თებერვლის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N35. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 13 თებერვალს 14 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლე-

ბა აქვთ დაესწონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

- ა) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დანესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
- ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
- გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით და ორი ეგზემპლარი ქსენოაღსრულების სახით).

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 13 თებერვლის 12 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 302003174. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, მედიკამენტების შესყიდვა. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N35.

12. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების საერთო ფასის 1%-ს ოდენობით.

13. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

14. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში. მისამართზე: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა, მე-3 სართული, ოთახი N35. ტელ: 75-23-83.

სატენდერო კომისია

შ.პ.ს. “ ელექტროტრანსპორტი” 2009 წლის 9 თებერვალს აცხადებს აუქციონს შავი და ფერადი ლითონების რაელიზაციის მიზნით, კერძოდ:

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარში)	ჯამი (ლარში)	“ ბე” (ლარში)	“ბიჯი” (ლარში)	ბილეთის ფასი (ლარში)
1	შავი ლითონის ჯართი	6 ტონა	170	1020	102	10	10
2	ლითონის ბაგირი φ8	1300კგ/მ	1.1	1430	143	0.1	10
3	ლითონის ბაგირი φ10	1400კგ/მ	1.2	1680	168	0.1	10
4	გლუვი აღმარაქურა φ16	300კგ/მ	1.40	420	42	0.1	10
5	აღუმინის ჯართი	0.3 ტონა	600	180	18	100	10
6	სპიდენის ჯართი	5 ტონა	3400	17000	1700	100	10
7	რკინა-ბეტონის ბოძები	30 ცალი	140	4200	420	10	10
8	24კვ.მ. სათავსო იჯარის სახით	24კვ.მ.	7.5	180	18	20	10

ჯართის საბოლოო დასუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულსა და ორგანიზაციის წარმომადგენელთან ერთად. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია თავისი ხარჯებით უზრუნველყოს ჯართის დამუშავება და გატანა.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს ან შიდაგარეულ პირებს, იურიდიულ პირებს, სახდვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. აუქციონი გაიმართება 2009 წლის 9 თებერვალს, 10 სთ-ზე, მისამართი: ქრუსთავი, დავით გარეჯის ქ. №10 აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს აუქციონის წარმომადგენელ ბილთ ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10საათიდან 14 საათამდე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც ხაველდებულა, აისახოს თანხილია გამოცხადებული სააუქციონო პირობების შესახებ;
2. “ბე”-ს და მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; თანხა გადახდილი უნდა იქნას შ.პ.ს. “ელექტროტრანსპორტის” ანგარიშზე: ს/ს “სახალ-ხო ბანკი” რუსთავის ფილიალი, ა/ა 36080062, ბანკის კოდი 220101413, ს.კ. 216292269.
3. მონაწილის პირადობის დამადასტურებელი საბუთი ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ ხაველდებულ დოკუმენტაციის ასლს და ამონაწერს საჯარო რეესტრიდან;

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შ.პ.ს. “ელექტროტრანსპორტი” სააუქციონო კომისიის მისამართზე: ქრუსთავი, დავით გარეჯის ქ. №10. საკონტაქტო ტელეფონი 824 14-15-58

სპორტი

ალექსანდრა ჩივაძე დაბვიზრუნდა

კახა ცხადაძე - ახალგაზრდულში, ნოდარ ახალკაცი - უეფას ალმასკომში

მიხილ აბიგვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გუშინ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა. დაამტკიცეს ასაკობრივი ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მწვრთნელები. 21-წლამდელთა ნაკრებში მთავარი მწვრთნელის პოსტი კახაბერ ცხადაძემ დაიკავა. მას ასისტენტობას ზაურ სევანაძე გაუწევს. 19-წლამდელთა ნაკრებში გელა შეყვილაძე იმუშავებს, ხოლო 17-წლამდელებს გიორგი დედარიანი განვრთნის. ასევე, ფედერაციის ალმასკომის გადაწყვეტილებით, ალექსანდრე ჩივაძე ერთხმად დაამტკიცეს საპატიო ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. ალმასკომის სხდომის დასრულების შემდგომ შედგა პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფედერაციის პრეზიდენტმა, ნოდარ ახალკაცმა, გენერალურმა მდივანმა, რეზო არველაძემ, 21-წლამდელთა ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, კახა ცხადაძემ და ალექსანდრე ჩივაძემ.

ის, რომ საშა ჩივაძე ქართულ საფეხბურთო ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს, განსაკუთრებით სასიხარულო ფაქტია. თან, როგორც აღმოჩნდა, მის ახალ სტატუსს - საპატიო ვიცე-პრეზიდენტს მხოლოდ სამიჯო დატვირთვა არ ექნება. ბატონი საშა მეტად მნიშვნე-

ლოვანი საქმეებითაც იქნება დაკავებული.

"საშა ჩივაძეს არა თუ საქართველოში, მსოფლიო საფეხბურთო წრეებშიც არ სჭირდება წარდგენა. მას უდიდესი ავტორიტეტი და აღიარება აქვს მოპოვებული საფეხბურთო სამყაროში. სხვა რეგალიებს და დამსახურებებს რომ შევეშვათ, ბატონი ალექსანდრე ფიფას ლაღის ორდენის კავალერია. იგი არის საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველა სხვა დანარჩენ სპეციალისტთა შორის. ბედნიერი ვარ, რომ ალექსანდრე ჩივაძე დათანხმდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის შეთავაზებას. იგი კვლავაც აქტიურად იღვანებს ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. ბატონი საშას ყველა აზრი გათვალისწინებული იქნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ სამომავლოდ მისაღებ ყველა გადაწყვეტილებაში", - აღნიშნა ნოდარ ახალკაცმა.

ასევე, ალმასკომიუს თხოვნით, ალექსანდრე ჩივაძე უხელმძღვანელებს იმ საორგანიზაციო ჯგუფს, რომელიც 2010 წელს ქართული ფეხბურთის 110 წლის იუბილის აღსანიშნავ ღონისძიებებს ჩაატარებს.

"საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჯერ კიდევ მამარჩემის,

უფროსი ნოდარ ახალკაცის პერიოდში იცავდებოდა ქართული ფეხბურთის 100 წლის იუბილეს აღნიშვნა. მაშინ ამ იდეის ერთ-ერთი ინიციატორი მამარჩემთან ერთად იმ დროს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მყოფი ალექსანდრე ჩივაძეც იყო. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო მაშინ ეს იდეა ვერ განხორციელდა. ყველას გახსოვთ, მთელს საქართველოს, გვერდში დავვიდგეთ და ეს მნიშვნელოვანი თარიღი ერთად, ღირსეულად აღვნიშნოთ. მოხარული ვარ, რომ ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავი ღონისძიებების საორგანიზაციო ჯგუფს ალექსანდრე ჩივაძე უხელმძღვანელებს", - განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა.

"ქართული ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა. მის სამსახურში ყოფნას დიდ პატივად მივიჩნევ. ამ თვალსაზრისით ძალა, ენერჯია და ცოდნა არასდროს დამიშურებია და არც მომავალში დავიშურებ", - ტრადიციულად სიტყვაძუნნი და მოკრძალებული კომენტარით შემოიფარგლა საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო და ტიტულოვანი ვეტერანი ფეხბურთელი.

რაც შეეხება კახა ცხადაძეს, მას ახალ პოსტზე წარმატებული მუშაობის დიდი იმედი იმედი აქვს.

"21-წლამდელეებში, რაც მოახლოებულ შესარჩევ ციკლში ოლიმპიურადაც მიიჩნევა, საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს. ვფიქრობ,

სწორი მუშაობის პირობებში წარმატების მიღწევა სავსებით რეალურია. ამის იმედი რომ არ მქონდეს, ამ პოსტზე მუშაობას არც დავთანხმდებოდი", - აღნიშნა კახა ცხადაძემ, რომელიც ძალიან მაღე დანიის და დაქალაქ კოპენჰაგენში გაემგზავრება, სადაც 2011 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის სკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრა შედგება.

"წილისყრა 4 თებერვალს მოენცობა, რომლის დასრულების შემდგომ თითოეული ჯგუფის კალენდარი შედგება. მეტოქეთა ვიწროობის შეტყობისა და კალენდრის დადგენის შემდეგ, დავგეგმავთ შესარჩევი ტურნირისთვის მოსამზადებელ პროცესს. ფედერაციის ხელმძღვანელობა დამპირდა, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ყველა პირობას უქუქმნიან - დანებული უცხოური სანვრთნელი შეკრებებით, ამაზნაგური თამაშების ჩათვლით", - განაცხადა კახა ცხადაძემ.

ალმასკომზე კიდევ ერთი საკითხი იყო განხილული. 2009 წლის მარტში უეფას აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც 16 ნევრისგან შედგება, 9 ადგილი თავისუფლდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, უეფას ალმასკომის ერთ-ერთ ვაკანტურ ადგილზე ნოდარ ახალკაცის კანდიდატურას წარადგინენ.

გერმანია "ზორჭღალოსანთა" დასახვედრად ემზადება

გერმანიის რაგბის კავშირი "ერთა თასზე" საქართველოს ეროვნული გუნდის მასპინძლობისთვის გამალებით ემზადება. გერმანიის ნაკრები ელიტარულ დონეს რამდენიმე წლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა და საკუთარი ამბიციების დამტკიცებას საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ მატჩში ეცდება. მომავალი შეხვედრა 7 თებერვალს ჰა-

იდელბერგის Fritz-Grunebaum-Sportpark-ში შედგება, რომელიც ხუთი თაის მაყურებელს იტევს.

მატჩზე დასასწრები ბილეთები 8-დან 12 ევრომდე ელირება, 16-წლამდე ბავშვები კი თამაშზე უფასოდ დაიშვებიან.

შეხვედრას შოტლანდიელ არბიტრთა სამეული - გრემ კოქსი, დევიდ ჯუკი, გრემ მარშალი - მოემსახურება. გერმანიის ნაკ-

რების მწვრთნელები რუდოლფ ფინშტერერი და მარკ კულმანი შემადგენლობას მოგვიანებით დაასახელებენ. საკუთარ რჩეულთა ვინაობა არ გაუხმაურებია საქართველოს ეროვნული ნაკრების ავსტრალიელ თავკაც ტიმ ლეინსაც. "ერთა თასის" მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ ორი მატჩია ჩატარებული. ჩვენმა მომავალმა მეტოქე გერ-

მანიამ ესპანეთში 11:22 წააგო, მანამდე კი ესპანელები რუსეთში 15:42 განადგურდნენ. 7 თებერვალს გერმანია-საქართველოს გარდა, კიდევ შეხვედრაა დაგეგმილი: ესპანელები მადრიდის უნივერსიტეტის სარბიელზე რუმინეთს უმასპინძლებენ, ხოლო პორტუგალია ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე რუსეთს მიიღებს.

ტორინოში ორი მობაზა სჭირდება

ტოკიოში მიმდინარე სეზონის პირველ სუპერთურნირზე სუმოში, ქართველებმა ერთად ბაშოს პირველ დღეს თუ მოიგეს. და აი, როგორც იქნა, მეორე ორმაგ გამარჯვებასაც გამოკრეს ხელი. ასეთი რამ კი ბაშოს მეცამეტე სასპარეზო დღეს მოხდა. და თუ კოკაისთვის გუშინდელი გამარჯვება სატურნირო თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ ყოფილა, ტორინოშინი მოგებამ საწუგვარ მიზანთან ერთი ნაბიჯით დაახლოვა.

როგორც იცით, ლევან გორგაძეს შვიდი მარცხი დაუგროვდა. მესაბამისად, მისთვის ნებისმიერი ორთაბრძოლის წაგება ბაშოს უარყოფითი ბალანსით დასრულებს და რეიტინგში დაქვეითების ტოლფასი იქნება. მეშვიდე მარცხი ტორინოშინმა სამი დღის წინ იგება. საბედნიეროდ მას შემდეგ ზედიზედ შეძლო ორი ორთაბრძოლის მოგება. გუშინ ახალგაზრდა ქართველმა რიკში აღმოსავლეთის მეექვსე მაეგაშირა არანი დაამარცხა იორიკირის ილეთით და ახლა ტორინოშინის აქტივში უკვე ექვსი გამარჯვება და შვიდი წაგებაა. ასე რომ, თუ



ტორინოშინმა ზედიზედ მეორედ მოიგო

ქართველი დარჩენილ ორ ორთაბრძოლასაც მოიგებს რეიტინგშიც დაწინაურდება.

აი, კოკაის ანგარიშზე კი რვა წაგებაა. აქედან გამომდინარე მის-

თვის რეიტინგში დაწინაურება გამორიცხულია. გუშინ ლევან ცაგურიამ აღმოსავლეთის სეკიჯაკე კისენოსატო დაამარცხა. კისენოსატოსთვის კოკაისთან დაპირისპი-

საკალათურთო სეზონი თასის გათამაშებით განახლდება

საახალწლო არდედეგების შემდეგ საკალათურთო სეზონი საქართველოს თასის გათამაშებით განახლდება.

წლევანდელი თასის გათამაშება, რომელიც რიგით მეშვიდეა, ოლიმპიური სისტემით გაიმართება. გუნდები ერთმატჩიან მეოთხედფინალებს ითამაშებენ, რასაც ნახევარფინალები და ცხადია ფინალი მოყვება.

მეოთხედფინალებს და ნახევარფინალებს რუსთავის "ქიმიკოსთა" დარბაზი უმასპინძლებს, მოგეხსენებათ დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოს საერთაშორისო ტურნირი იმართება და კალათბურთმაც, შენაბამისად, რუსთავეში გადაინაცვლა. რაც შეეხება ფინალს, საქართველოს თასის მფლობელის ვინაობა სპორტის სასახლეში გაირკვევა.

მეოთხედფინალში გუნდები ეროვნული ჩემპიონატის მიდინარე სატურნირო ცხრილის მიხედვით დაწყვილდნენ. ანუ მეოთხე ადგილზე მყოფი გუნდი მეხუთადადილოსანს ეთამაშება, მეორე მეშვიდეს, მესამე მეექვსეს, პირველი კი მერვეს. ეროვნულ ჩემპიონატში მოსაპარეზე მეცხრე გუნდმა თბილისის "მაკაბი" თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. გამორიცხული არაა, იგივე გააკეთოს თსუ-მაც, თუმცა ამ გუნდისგან ფედერაციას ოფიციალური უარი ჯერ არ მიუღია და ამიტომაც სტუდენტები თასის გათამაშების ბადეში მოხვდნენ და წესით და რიგით დღეს სასოფლოს გუნდს უნდა დაუპირისპირდნენ. იმ შემთხვევაში თუ თსუ მატჩზე არ გამოცხადდა, გუნდს წაგება ჩათვლება და დებულების თანახმად ფულადი ჯარიმაც დაეკისრება 1000 დოლარის ოდენობით.

გუშინ ტოტალიზატორ "აჭარაბეთში" თასის გათამაშებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც მონაწილე გუნდების მწვრთნელები დაესწრნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთდღეში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდა, ერთადერთი აღნიშვნის ღირსია "ნტდ თბილისი", რომელმაც სერგო ათუაშვილი დაიმატა. მისი დებიუტი სწორედ თასის გათამაშებაში შედგება.

რატი ალაქსიძე ოდიკაძის თანაგუნდელი ხდება

რატი ალაქსიძე უნგრულ "გიორი ეტოში" მიდის - საქმე გადაწყვეტილია, საქართველოს ნაკრების ფორვარდს კლუბში 26 იანვარს ელიან. 30 წლის თავდამსხმელი გუნდთან ერთად ვარჯიშს დაიწყებს და თურქულ შეკრებაზე გაჰყვება, სადაც რამდენიმე ტესტმატჩშიც იასპარეზებს. გორელები ჩვეს მეზობელ ქვეყანაში ხუთ საკონტროლო შეხვედრას გამართებს - 31 იანვარს მოსკოვის "სპარტაკთან", 3 თებერვალს ავსტრიულ "შტურმთან", 5 თებერვალს რუმინულ "ოტობენთან", 8-ში "ეტოს" მეტოქე სლოვაკური "კოშიცე" იქნება, 10-ში კი სამხრეთ კორეული "სეული". ალაქსიძე მეორე ქართველია უნგრულ კლუბში - ცოტა ხნის წინათ "გიორი ეტოსთან" 35 წლიანი კონტრაქტი გააფორმა დათო ოდიკაძემ.

არშავინში 12 მილიონზე მეტს არ იხდიან

ლონდონის "არსენალის" პრეზიდენტი პიტერ ჰილ-ვუდი, რუსეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" თავდამსხმელ ანდრეი არშავინის ტრანსფერში, 12 მილიონ ფუნტზე მეტის გადახდას არ აპირებს. "ეს ჩვენი ბოლო შეთავაზებაა და ამაზე მეტის გადახდას არ ვაპირებთ. თუ აღნიშნულ თანხად მას ვერ შევიძენთ, მაშინ არშავინს საერთოდ არ ვიყიდით, რადგან სხვა ვარიანტებიც გვაქვს. "არსენალს" თითოეულის ცალ-ცალკე სურვილის ასრულება არ შეუძლია", - განაცხადა ჰილ-ვუდმა.

ერიქსონი გაოცებულია

მექსიკის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი გაოცებული დარჩა გულშემატკივართა უარყოფითი რეაქციით, რომელიც მის მიერ ნაკრებში ოთხი ნატურალიზებული ფეხბურთელის, წარმოშობით ბრაზილიელების - ლევანდრო აუგუსტოსა და ანტონიო ნაელსონის, ასევე, არგენტინელების - მატიას ვუოსოსა და ლუკას აიალას გამოძახებას მოჰყვა. "მიეჩინე, რომ თუ ფეხბურთელს მექსიკური პასპორტი და სათანადო კვალიფიკაცია აქვს, მაშინ მან ნაკრებში უნდა ითამაშოს. მგონი, ვერავენ იტყვიან, რომ გუნდში ნატურალიზებული ფეხბურთელების მიწვევა აკრძალულია. საერთოდ, ჩემთვის რთული გასაგებია, რაც ამ მოვლენის გარშემო ხდება. როდესაც ნელსონს ან ვუოსოს არ ვიძახებ, მაკრიტიკებენ, თუ აიალას ვინვევ, მაშინაც მაკრიტიკებენ. ჩემი აზრით, ეს უსამართლობაა. რა თქმა უნდა, მექსიკაში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ნაკრებში პირადი სიმპათიის ან მეგობრობის გამო, არავის ვათამაშებ. ამჟამად, გუნდში 23 ფეხბურთელია შეკრებილი, რომლებსაც საუკეთესოდ მივიჩნევ", - განაცხადა შვედმა სპეციალისტმა.

აღსანიშნავია, რომ მექსიკის ნაკრებში ნატურალიზებულ მოთამაშეებს გუნდის ყოფილი თავკაცები რიკარდო ლა ვოლპე და უგო სანჩესიც იწვევდნენ, მაგრამ ისინი არავის გაუკრიტიკებია.

ვინაჟ უილიამსს ანა ივანოვიჩის მიყვამ

მელბურნ-პარკში მიმდინარე ავსტრალიის ღია პირველობაზე გუშინ მორიგი სენსაცია გამოცხდა. ამასთან სენსაციას კვლავაც ქალთა ბადესთან მიეყვარათ. ფაქტია, ტურნირის გამოთიშა შარშანდელი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი, მეხუთე ნომრად განთესილი სერბი ანა ივანოვიჩი.

სერბი ლამაზმანის მეტოქე ტურნირზე 29-ე ნომრად განთესილი ალისა კლეიზანოვა გახლდათ. მატჩი ორ საათსა და ორმარათხანს გაგრძელდა. პირველი და მეორე სეტი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. ჯერ კლეიზანოვამ დაამარცხა სერბი ანგარიშით 7:5 შემდეგ უკვე ივანოვიჩმა გამოიღო ხელი. ეგაა, მესამე სეტში სერბმა მეტოქეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და თამაშიც დათმო. ამრიგად ვინც უილიამსის შემდეგ ავსტრალიის ღია პირველობა ანა ივანოვიჩის გარეშე დარჩა.

სხვა ფავორიტებმა საკუთარი მატჩები იოლად მოიგეს.

ვაჟთა გათამაშებაში ყურადღების ცენტრში როჯერ ფედერერისა და მარტინ სარიის დაპირისპირებას აღმოჩნდა. სწორედ შვეიცარიელისა და რუსის შეხვედრით სრულდებოდა გუშინდელი სათამაშო დღე. იყო დრო, როდესაც ფედერერისა და სარიის დაპირისპირებას საწოგბურთო კლასიკად რაცხავდნენ, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. რუსი ჩოგბურთელი ლამის კლუბებში სიარულს გადაყვა და ახლა ამოდ ცდილობს საწოგბურთო ოლიმპზე დაბრუნებას.

მართალია, თამაში საკმაოდ კარგი გამოვიდა, მაგრამ ფედერერის უპირატე-



ივანოვიჩმა ასპარეზობა დაასრულა

სობა მაინც თვალმისაცემი იყო. იქმნებოდა შთაბეჭდილება თითქოს საფინი ფედერერს წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ფაქტია, ყველა სეტში ფედერერმა გადამწყვეტი ქულების მოგება მოახერხა, საბოლოოდ კი საფინის დასამარცხებლად შვეიცარიელს სამი სეტი დასჭირდა.

ასე, რომ საფინის დაბრუნება ვერ შეეძლო, ფედერერი კი მეთოდურად მი-

წევს წინ და ალბათ სწორედ ავსტრალიაში შეეცდება გასულ სეზონში დაკარგული პოზიციებს აღდგენას. მართალია რაფაელ ნადალი საოცარ ჩოგბურთს თამაშობს და მისი დამარცხებაც ერთი შეხედვით შეუძლებელიცაა, მაგრამ აშკარაა, ფედერერი თამაშიდან თამაშამდე უმატებს და წესით ტურნირის გადამწყვეტ ეტაპზე საუკეთესო ჩოგბურთსაც აჩვენებს.

ავსტრალიის ღია ჭაწყი

ავსტრალიურ კორტებზე ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ამერ დელიჩის შორის შეხვედრის პარალელურად ერთმანეთში ურთიერთობას არკვევდნენ სერბი და ბოსნიელი გულშემბატკვირებიც. ჯოკოვიჩი სერბია, დელიჩი კი ამერიკის სახელით მოასპარეზე ბოსნიელი. ასე რომ, ტრიბუნებზე განვითარებული მოვლენები სწორედ ჩოგბურთელთა დაპირისპირების "დამსახურებაა".

ბიბა გურასაშვილი

ბოსნიური წარმოშობის ამერიკელსა და ტურნირზე მესამე ნომრად განთესილ სერბ შორის მესამე წრის შეხვედრა, რომელიც ჯოკოვიჩის გამაჯვებით (6:2, 4:6, 6:3, 7:6) დასრულდა, ფანატების შეხებით აღინიშნა. ვაგულსებულმა გულშემბატკვირებმა თავდაპირველად ერთმანეთის ახლობლები მოიკითხეს, მერე კი სავარძლებიც დააყარეს ერთმანეთს. შეხლა-შეძახაში უცნობი გოგო დაზარალებულა. მართალია, თავზე მიღებული ტრავმა სერიოზული არ აღმოჩენილა, მაგრამ ფაქტია, შფოთისთავებმა ქალი და კაცი ერთმანეთისგან ვერ გააჩივეს.

რომ არა სამართლდამცავთა დროული რეაგირება, ჩხუბი მეტ მასშტაბებს შეიძენდა. იქამდე კი ავსტრალიელმა პოლიციელებმა ჩხუბის ორი მონაწილე დააკავე, ხოლო 31 გულშემბატკვიარი იძულებითი წესით მელბურნ-პარკიდან გააძევე.

"ვცდილობდი ტრიბუნებზე განვითარებული მოვლენებისთვის ყურადღება არ მიმექცია, - ვითარებაში გვარკვევს ნოვაკ ჯოკოვიჩი. - ეს ისაა, რაზეც ჩვენ, ჩოგბურთელები ვერანაირ გავლენას ვერ მოვახერხებთ. ვცდილობდით საკუთარი ჩოგბურთი მეთამაშა. ეს კი სწორედ ისაა, რისთვისაც აქ ვარ. თუ ჩემს ენერჯიას



ჯოკოვიჩი და დელიჩი ერთმანეთს მშვიდობიანად გაეყარნენ. სერბები და ბოსნიელები - ჩხუბით.

მსგავს რალაცეებს დავახარჯავ, დიდი ალბათობაა დავკარგო კონცენტრაცია". პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ეთნიკურ ნიადაგზე ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მავანთა შორის ურთიერთობების გარკვევის ასპარეზი გამხდარა. ორი წლის წინათ ერთმანეთს დაერივნენ ხორვატები და სერბები, ხოლო შარშან ერთმანეთს წაეკიდნენ ბერძნები და ჩილელები.

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ განაცხადებთ ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ტენდერის საბანი:

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში კორპორაცია) აცხადებს ტენდერს BRENT (DTD) ტიპის ნავთობის 10 000,0 (ათი ათასი ± 10%) ტონა გაყიდვასთან დაკავშირებით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტაციას უწვევს დაინტერესებულ პირს.

2. სარეალიზაციო ქონების დასახელება:

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ პოტენციურ მყიდველს სთავაზობს ნავთობს შემდეგი ხარისხის მაჩვენებლებს მაქსიმალური ზღვარით: BRENT (DTD): სიმკვრივე 200 C -ზე - 0,820-0,845 გრ/სმ³; გოგირდის მაქსიმალური ნონითი შემცველობა - 0,3%; წყლის მაქსიმალური ნონითი შემცველობა - 1%.

3. მიწოდების პირობები:

BRENT (DTD) ტიპის ნავთობის მიწოდება განხორციელდება FCA (INCOTERMS 2000) პირობით სოფელ ვაზიანის რკინიგზის სადგურის ჩიხში (ობიექტის სტაციონარული დანიშნულების კოდი - 1120011) ჩატვირთვა მყიდველის კუთვნილ ვაგონ-ციტერნებში.

4. ტენდერში მონაწილეობის პირობები:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წინასწარ, „ბე“-ს სახით, კორპორაციის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს 50 000,0 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი ან ამ თანხის ექვივალენტური ოდენობა ლარში, ჩარიცხვის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განაცხადის შეტანამდე შეიძინოს ტენდერში მონაწილეობის ბილეთი, რომლის ღირებულება 50 (ორმოცდაათი) ლარს შეადგენს;

გ) ნავთობის საბოლოო ფასი ერთ ბარელ ნავთობზე დადგინდება ნავთობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით დადგენილი გადაზიდვის დასრულების თარიღის მიხედვით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით დადგენილი პერიოდის (არაუმეტეს 31 უწყვეტი კალენდარული დღის) განმავლობაში შესაბამისი „Platts Crude Oil Marketwire“-ის გამოცემაში „Key Benchmarks“-ის სათაურის ქვეშ გამოქვეყნებული BRENT (DTD) ტიპის ნედლი ნავთობისთვის დღიური საშუალო ფასების საშუალო არითმეტიკულ მნიშვნელობას გამოკლებული ტენდერით დადგენილი დისკაუნტი (ფასდაკლება);

დ) ხელშეკრულების ხელმოწერა უნდა მოხდეს ტენდერში გამარჯვებული პირის გამოცხადებიდან მაქსიმუმ ხუთი კალენდარული დღის განმავლობაში;

ე) ნავთობის გადაზიდვა უნდა დაიწყოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 კვირისა;

ვ) ვაგონ-ციტერნების ადგილზე მომსახურების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის და მოცდენის ხარჯი, გარდა გამყიდველის მიზებით გამოწვეული მოცდენისა, ეკისრება ნავთობის მყიდველს;

5. განაცხადის წარმოადგენს და ტენდერის ჩატარების ვადები:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველმა 2009 წლის 2 თებერვალს 1200 საათამდე სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად კორპორაციაში უნდა წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი, მონაწილეობის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთი და მე-6 მუხლში მითითებული ინფორმაცია;

ბ) მსურველებმა სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ს/ი 0190, კახეთის გზატკეცილი N21, შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“. ტელ: 24 40 40;

გ) სატენდერო დოკუმენტაცია გაიხსნება 2009 წლის 2 თებერვალს 1500 საათზე, შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21). ტენდერში მონაწილე პირს თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

6. სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტმა განაცხადთან ერთად:

ა) ტენდერში მონაწილე კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტების (ნესდება, რეგისტრაციის მოწმობა) თითო ასლი;

ბ) ტენდერში მონაწილეს გამოცდილება ნავთობით ვაჭრობის სფეროში;

გ) ტენდერში მონაწილეს რეკვიზიტები: დასახელება, მისამართი, ტელეფონის ან/და ფაქ-

სის ნომერი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები;

დ) სატენდერო წინადადება, რომელიც შეიცავს:

- 1) განაცხადს ტენდერში მონაწილეობის შესახებ.
- 2) შემოთავაზებული დისკაუნტი (ფასდაკლება) 1 ბარელ ნავთობზე აშშ დოლარში.
- 3) ნავთობის გატანის ვადები.

7. გადახდის პირობები:

ა) ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია ნავთობის მიწოდების დაწყებამდე წინასწარ გადაიხადოს ან კორპორაციას წარუდგინოს საბანკო გარანტია ვაცემული კორპორაციისათვის მისაღები ბანკის მიერ და კორპორაციისათვის მისაღებ პირობებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნავთობის ღირებულების 110 (ასათი) პროცენტი. ნავთობის ამგვარი ღირებულება გამოითვლება ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის Platts-McGraw Hill Companies მიერ BRENT (DTD) ტიპის ნავთობზე დადგენილი მაქსიმალური ფასის გამრავლებით მისანოდებული ნავთობის მოცულობაზე;

ბ) ტენდერში მონაწილეს, გარდა ტენდერში გამარჯვებულისა, გადახდილი „ბე“ შესაბამისი ნერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დაუბრუნდება ტენდერის დასრულებისთანავე საბანკო დღის განმავლობაში. ტენდერში გამარჯვებული მონაწილის მიერ გადახდილი „ბე“ კი კორპორაციის მიერ გამოყენებული იქნება ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფის გარანტიად და ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ჩაითვლება მისანოდებული სასაქონლო ნავთობის საფასურის ნაწილად;

8. სატენდერო წინადადების შერჩევა:

ა) სატენდერო წინადადებები გაიხსნება შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სატენდერო კომისიის მიერ;

ბ) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ იტოვებს უფლებას არ განაცხადოს საჯაროდ ტენდერში მონაწილე კომპანიების შემოთავაზებები;

გ) შერჩეული კომპანიისთვის ნედლი ნავთობის შექენის უპირატესობა განისაზღვრება შემოთავაზებული უმდაბლესი დისკაუნტის მიხედვით და სატენდერო პირობების გათვალისწინებით;

9. სხვა პირობები:

ა) დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით, რომელზეც აღნიშნულია ტენდერში მონაწილე პირის დასახელება და აღნიშნა, რომ დოკუმენტები წარმოადგენილია გამოცხადებული ტენდერისთვის;

ბ) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირებისაგან;

გ) ტენდერში მონაწილეს არ იქნება უფლებამოსილი ჩაასწოროს, შეცვალოს ან გამოითხოვოს სატენდერო წინადადება მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;

დ) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი წინადადება ყოველგვარი ასხნა განმარტების გარეშე წარმომდგენის მიმართ;

ე) ტენდერის ჩატარების შესახებ წინამდებარე განაცხადების პირობებით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ასევე კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე - www.gogc.ge

ვ) სატენდერო წინადადების შემოტანის და ტიპური ხელშეკრულების პროექტის გასაცხნობად დაინტერესებულ პირებს 2009 წლის 25 იანვრიდან 30 იანვრამდე შეუძლიათ მიმართონ შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“, შემდეგ მისამართზე:

საქართველო,
ქ. თბილისი,
კახეთის გზატკეცილი 21
საკონტაქტო პირი - დავით ციციშვილი
ტელ: +995 (32) 244040 (გაფართობა 221)
ფაქსი: +995 (32) 244041
ელ. ფოსტა d.tsitsishvili@gogc.ge
კორპორაციის საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: 220 101 502
ბიძლები: შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
საიდ. კოდი: 206 237 491
ანგარიშის ნომერი: 145 770 000

ბანკსადასტურებელი ჩატარების შესახებ

- შ.პ.ს. „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ - (მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21), აცხადებს ტენდერს - ნავთობის ტრანსპორტირებასა და მის ვაგონის ტენდერში ჩატარებაზე და ინვესტორს ეყვლება დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.
გადახედვის მარშრუტებია: სამგორის სათაო ნაგებობიდან (სოფ. სართიჭალა) - ვაზიანის რკინიგზის სადგურამდე, მანძილი ერთი წრე არაუმეტეს 25 კმ. თელავის სარეზერვუარებიდან (სოფ. გამარჯვება) ვაზიანის რკინიგზის სადგურამდე მანძილი ერთი წრე არაუმეტეს 13 კილომეტრი.
წლიური საერთო სავარაუდო გადასახადი რაოდენობაა 45 000 ტონა. გადახედვა მოხდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
ტრანსპორტირება უნდა მოხდეს მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და ა/მანქანის ტექნიკურად გამართულობის დამადასტურებელი საბუთის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.
- ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
- მინოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.
- დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტში 2009 წლის 3 თებერვლის 1600 საათამდე მე-15 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიული პირებისათვის:**
 - ცნობას საგადასახადო სამსახურიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
 - ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
 - ფიზიკური პირებისათვის:**
 - ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
 - ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ ხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა.
- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**
 - ცნობა, საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორების პროცედურის დასრულებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
 - ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების განევის შესახებ, დამკვეთისა და მოცულობების მითითებით.
 - სატიტო მანქანების ტექ-დათვალიერების საბუთის** ასლი, საკუთრების ან ფლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი, ა/მ სახელმწიფო ნომერი, მანქანის დაზღვევის დამა-

- დასტურებული საბუთის ასლი.
- არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
 - სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.
 - მოცემული შესყიდვის ფარგლებში და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში სუბკონტრაქტორის მონაწილეობის შემთხვევაში სუბკონტრაქტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პრეტენდენტის მიმართ წინამდებარე განცხადებით ნაყენებული ყველა მოთხოვნა და წარმოადგინოს ყველა შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემი და ინფორმაცია.
 - ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ (მე-13 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2 თებერვლის 1800 საათამდე, შემდეგ მისამართზე: შ.პ.ს. „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21, ოთახი N216 სატენდერო კომისიის აპარატი.
 - სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2008 წ. 3 თებერვალს 1600 საათზე.
 - სატენდერო გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% - ის ოდენობით.
 - ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 2% - ის ოდენობით.
 - ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
 - სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს არაანაზღაურებადი სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით კორპორაციის საბანკო ანგარიშზე და წარმოადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი კორპორაციის სატენდერო კომისიის აპარატში მე-15 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
კორპორაციის საბანკო რეკვიზიტებია:
 მიმღები: შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
 საიდ. კოდი: 206 237 491
 მისამართი: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21.
 ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
 ბანკის კოდი: 220 101 502
 ა/ა ლარებში: 145 770 000
 - დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სახსრებით.
 - ტენდერში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პრეტენდენტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ კორპორაციის სატენდერო კომისიის აპარატში (ქვემოთ მითითებულ მისამართზე) სამუშაო დღეებში:
 კახეთის გზატკეცილი N21
 საქართველო თბილისი, 0190
 ტელ.: (+995 32) 24 40 40; (შიდა 131)
 ფაქსი: (+995 32) 24 40 41
 საკონტაქტო პირი: ივანე ლომაძე; თენგიზ მიქავა

ბანკსადასტურებელი ჩატარების შესახებ

- თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია (ქ. ბათუმი, დუკა ასათიანის ქ. №25) აცხადებს ტენდერს ასფალტირებული და არასფალტირებული ქუჩების მანძილზე სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:
 ლოტი №1 - ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
 ლოტი №2 - არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.
- სამუშაოების შესრულების საფასურებზე ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდი.
- სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 26 იანვრის 12:00 საათიდან 2009 წლის 16 თებერვლის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, დუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.
- სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:
 მიმღების დასახელება: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია (ს/კ 245576826)
 მიმღების ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ ბათუმის ფილიალი
 ბანკის კოდი: 220101901
 ანგარიში: 360801010300125
 გადახდის დანიშნულება: ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.
- პრეტენდენტებმა განცხადება (დადგენილი გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსეროასლი), დალუქული კონვერტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 17 თებერვალს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის, დუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაცია. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.
 6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
6.1. იურიდიული პირებისათვის:
 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
 - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
 - ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- ფიზიკური პირებისათვის:**
 - ცნობა უწყვეტად მისივე სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.
- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
 - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დაგვიანების არარსებობის შესახებ;
 - ცნობა მომსახურებელი ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
 - პრეტენდენტი პირების რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი გვარი, ტელეფონი/ფაქსი, მობილური, ელექტრონული ფოსტა e-mail).

ე) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ჯამ-ჯამად 2006, 2007 და 2008 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათისა და სიბრტყის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.
 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უნდა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 500,0 ათასი ლარის ოდენობით, ამასთან ამ პერიოდში ერთ-ერთი ობიექტის ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის სამუშაოების ღირებულება უნდა შეადგენდეს 150,0 ათას ლარს.
შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა: სასურველი ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის
1				
2				
და				
ა.შ				

- ზ) ინფორმაცია 2009 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დაგვიანებების შესახებ, მითითებულ იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დაგვიანებების წარმოშობის თარიღი.
- | | |
|------------------|---|
| შენიშვნა: | პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად; |
| | პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები; |
| | განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე. |
- ტენდერში გამოიყენებელი იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მქვანისში (გარანტირება, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით).
 - გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით.
 - ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს საბანკო მონაცემების 9.1 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს.
 - დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატისგან. ტელ: (888222) 7-26-18, (888222) 7-26-17, ან მისამართზე: ქ. ბათუმი, დუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების სამსახური.
სატენდერო კომისია

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



გადევეანიშვილი ევროპას უხედავოდ აჯდა

ჰელსინკის "ჰარტვალ არენაზე" მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი წარუმატებელი გამოდგა ქართველი მოციგურავე ელენე გედევეანიშვილისთვის. მოკლე პროგრამაში ასპარეზობისას ელენემ 41 მონაწილეს შორის 25-ე ადგილი დაიკავა, რაც კონტინენტის პირველობიდან გამოთიშვის ტოფასია.

დასანანი, მაგრამ ფაქტი: ჰელსინკის ევროპის ჩემპიონატზე ქართველის ასპარეზობაში პროგრესი არ იგრძნობოდა. არადა ამავე რანგის ადრეულ ასპარეზობებზე ჯერ მუხუთე იყო, მერე მერვე, შარშან კი მეათე შედეგი ჰქონდა. მისთვის ყველაზე დიდ წარმატებად ტორინოს 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები რჩება, სადაც გედევეანიშვილმა მეათე ადგილი დაიკავა.

გედევეანიშვილამდე საკუთარი ძალები მოსინჯა ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტმა ბეჟა შანყულაშვილმა. ეგაა, ჩემპიონატი 38-ე ადგილით დაასრულა.

სხვათა შორის, ვაჟთა შორის კიდევ ერთი ქართველი მონაწილეობდა. 22 წლის გიორგი კენტაძემ ბულგარეთის სახელით ასპარეზა (30-ე ადგილი დაიკავა). ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ერთმა ქართველი გამოჩნდა და ამასთან მეხუთე ადგილი დაიკავა. ამ შემთხვევაში წყვილებში რუსეთის სახელით მოასპარეზე ნოდარ მაისურაძეზე ვსაუბრობთ, რომელიც ლუბოვ ილუშეკინასთან ქმნის ტანდემს.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქრავი საოპერაციო

ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული

მულტიფოკალური

ბროლი Acrysof-ReSTOR

კატარაქტის ქირურგიაში

საუკეთესო მხედველობა

სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე ახლო

მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააზრავს სმს ჯეოსელიდან, მაგთიდან, ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ ივენანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შეამოგვიერთდით, ერთად
დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი ივენანა
გაზეთი 24 საათი



განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნების სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნების მშენებლობა/რეკონსტრუქცია სულ: 18344 მ2.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილი იქნება 39 (ოცდაცხრამეტი) ლოტად.

შესრულების სავალდებულო ვადა თითოეულ ლოტზე - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 წლის 1 სექტემბრისა.

შენიშვნა: შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და მისამართები ლოტების მიხედვით მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 13.02.2009 წლის 11:00 საათიდან 13.02.2009 წლის 16.00 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ყ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

4 პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ა) ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
- ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
- დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები, პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებას, რაზედაც უნდა იყოს წარმოდგენილი:

- ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
 - ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;
 - გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
 - დ) ინფორმაცია ფინანსური შესაძლებლობების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები არანაკლებ მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 10%-სა ან უნდა ჰქონდეს გახსნილი საკრედიტო ხაზი აღნიშნულ თანხაზე: ცნობა მომსახურე ბანკიდან ან კრედიტის გამცემი დაწესებულებიდან.
5. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;

ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნების სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების (39 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

8. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 24.01.2009 წლის 11:00 საათიდან 13.02.2009 წლის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

9. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე).

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

12. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარია ცენტრადე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

